CAUCASIAN MINING GROUP LLC
CMG
შპს კავკასიის სამთო ჯგუფი

№ 169. 01. 11. 2021წ.

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს

უფროსს ბატონ არჩილ ნიკოლეიშვილს

ბატონო არჩილ,

როგორც თქვენთვის ცნობილია, შპს „კავკასიის სამთო ჯგუფი"-ზე გაცემულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია N10002084, (ბოლნისის, მარნეულის, დმანისის, წალკისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, სასარგებლო წიაღისეულის (ფერადი, კეთილშობილი, იშვიათი მეტალები და ბარიტი) შესწავლა მოპოვება).

აღნიშნული ლიცენზიის ფარგლებში დაგეგმილი გვაქვს წიაღის მოპოვებისათვის (მათ შორის, ამისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობისთვის) საჭირო მიწის სამუშაოების და განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის ფარგლებში სპეციალური სარგებლობის ჭრების განხორციელება. დაგეგმილი სამუშაოების არეალი მოიცავს სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიას, რომლის გათვალისწინებითაც აუცილებელია შპს „კავკასიის სამთო ჯგუფი"-ს მიენიჭოს განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის №221 დადგენილებით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შესაბამისად, მოგმართავთ თხოვნით, რათა სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიის ფარგლებში მოქცეულ და წინამდებარე წერილზე თანდართულ აზომვით ნახაზებზე დატანილ ფართობზე (**26620 კვ.მ.**) წიაღის მოპოვებისათვის (მათ შორის, ამისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობისთვის) საჭირო მიწის სამუშაოების და განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის ფარგლებში სპეციალური სარგებლობის ჭრების განხორციელებისათვის შპს „კავკასიის სამთო ჯგუფი"-ს მიენიჭოს განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობის



ს/კ: 404908775. იურიდიული მისამართი საქართველო, თბილისი, ყიფშიძის ქ. №6.
საფოსტო მისამართი: 0171, ქ. თბილისი, ალექსიძის ქუჩა №1/III შესახვევი, კორპუსი №9, ტელ: +995 599 57 55 11, +995 595 90 81 47, ელ. ფოსტა: info@cmg.ge
ID Code: 404908775. Legal Address: 6 Kipshidze Street, Tbilisi, Georgia. Postal address: 0171, 1 Aleksidze street/3rd lane, Tbilisi, Georgia.
Phone: +995 599 57 55 11, +995 595 90 81 47, E-mail: info@cmg.ge

უფლება ლიცენზიის მოქმედების (2041 წლის 13 ოქტომბრამდე) ვადით **75,7**კვ.მ. ხე-ტყის ჭრის უფლებით.

დამატებით, გაცნობებთ, რომ ჩვენს მიერ მოთხოვნილ ფართობებზე არ აღინიშნება წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობები და არც $30^0$ და მეტი დაქანების ფერდობები.

დანართი:

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის ასლი;
- მიწის ნაკვეთების აზომვითი ნახაზი;
- მიწის ნაკვეთების აზომვითი ნახაზის Shp-ფაილის ელექტრონული ვერსია UTM კოორდინატთა სისტემაში (1დისკი);
- ტყეკაფების აღრიცხვის მასალები.

პატივისცემით,

ჯონდო შუბითიძე

გენერალური დირექტორი